



მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის - ნათია მეზვრიშვილის და პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში - ლელა აქიაშვილის შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

15 ნოემბერი 2019

შეხვედრის ოქმი

მიზანი:

- პრემიერ-მინისტრის ახალი მრჩევლის წარდგენა
- არსებულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებზე საუბარი

ძირითადი გამოწვევები:

- **იმპლემენტაცია (!)** - იწერება გეგმები, დგება სამუშაო ჯგუფები, თუმცა როდესაც აღსრულებაზე მიდგება საქმე ნებისმიერი მცირე საკითხიც კი იწელება წლობით.
- **გადაწყვეტილების მიღების უნარი** - სამუშაო ჯგუფებში მუშაობა მიდის კარგად მანამ, სანამ რაიმე გადაწყვეტილებაა მისაღები. ძალიან რთულდება და იწელება გადაწყვეტილების მიღების პროცესი და გადაწყვეტილების დანერგვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია **თემატური ჯგუფების ქმედითობის გაზრდა**, რათა რეალურად შეიქმნას კონკრეტული ქმედების განხორციელების წინაპირობა.
- **არასამთავრობო ორგანიზაციათა სისტემური ჩართულობა** - საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრობის სისტემის გადახედვა, მათი გააქტიურება, და ყველა პროცესში თავიდანვე სისტემური ჩართულობა. სისტემურ ჩართულობაში იგულისხმება ის, რომ როდესაც მიმდინარეობს მუშაობა რაიმე დოკუმენტზე, არამხოლოდ თავიდან, ან ბოლოში იყონ არასამთავრობო ორგანიზაციები მოწვეულნი შეხვედრებზე. არამედ, მთელი განგრძობადი პროცესის განმავლობაში.

თემატური გამოწვევები (ანბანის მიხედვით)

ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები:

- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ შეგრძნება, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა ამ მიმართულებით.
- განსაკუთრებით რთულია ვითარება მომსახურეობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით.
 - არ ხდება სოციალური მუშაობის შესახებ კანონის აღსრულება;
 - არ მუშაობს სათანადოდ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა.“ არც ერთხელ არ მომხდარა პროგრამის ეფექტურობის შეფასება, აუდიტის ან განფასების ჩატარება.
 - ძალიან მწირი ფინანსური მხარდაჭერის გამო, არათუ არ ხდება დღის ცენტრების დიფერენციაცია, რისი საჭიროებაც არსებობს, არამედ იხურება უკვე არსებული ცენტრები ვინაიდან სერვისის მომწოდებლები არ თვლიან, რომ მსგავსი სერვისით იცავენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.
 - მნიშვნელოვნად დაგვიანდა გადაწყვეტილებების მიღება ისეთ საკითხებზე, როგორცაა ინფრასტრუქტურის სტანდარტის დამტკიცება, საერთო ბაზის შექმნა, სადაც ბავშვთა საჭიროებების რეგისტრირება მოხდება.
 - აუცილებელია კოორდინაცია სახელმწიფო სერვისებს შორის. ბავშვების ერთი სერვისებიდან მეორეში გადაყვანა ხორციელდება ყველანაირი რეაბილიტაციის გარეშე, რაც იწვევს ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს.
 - აუცილებელია ოჯახების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამები, რაც ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების გაძლიერებით უნდა დაიწყოს.
- მნიშვნელოვანია ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა და მესიჯები ერთის მხრივ მუნიციპალიტეტების დონეზე სერვისების გაძლიერებისათვის და მეორეს მხრივ, სისტემაში ადამიანური რესურსის გაზრდით, მაგალითად დეპარტამენტების უფროსების და პასუხისმგებელი პირების დანიშვნით.

გენდერული იდენტობა და ლგბტქი+ თემის უფლებები:

- მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ადამიანის სამოქმედო გეგმის მე-15-ე თავზე მუშაობა.
- პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წინა საარჩევნო პერიოდში ჰომოფობიური განწყობები განსაკუთრებულად იმატებს. შესაბამისად, უკიდურესად მნიშვნელოვანია ჰომოფობიის სისტემურ პრობლემად აღიარება, მასთან ბრძოლის როგორც პრევენციული, ასევე ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.
- მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე გენდერის სამართლებრივი აღიარება და თავმესაფრების არარსებობა ლგბტქი+ თემის წარმომადგენელთათვის. მნიშვნელოვანია გადაიდგას ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები თბილისის მერიასთან თანამშრომლობით.

- ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური პასუხისმგებლობის აღება. კერძოდ კი, მაღალი რანგის თანამდებობის პირთაგან მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება, მთავრობის ერთმნიშვნელოვანი პოზიცია, სამართალდამცველთა ცნობიერების ამაღლება, სოციალური მიდგომების შეცვლა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვა:

- აუცილებელია რაიმე მექანიზმის შექმნა ან რაიმე შეთანხმების მიღწევა იმისათვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებები იყოს დაცული.
- იქნებ შეიქმნას რაიმე დროებითი მექანიზმი დღეს-დღეობით ტყვეობაში არსებული ექიმის დასახმარებლად. მნიშვნელოვანია ასევე გაკეთდეს სახელმწიფოთაშორისო განცხადება ამ თემაზე.

საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი პირების უფლებები:

- მნიშვნელოვანია გადაიჭრას სამაჯურების შემოღებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები. კერძოდ, კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღარ არის საკმარისი სამაჯურები, იმისათვის, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებათა აღსრულება.
- გარკვეული კატეგორიის პატიმრებს შეუძლიათ განსაზღვრული დროით დაწესებულების გარეთ გატარება სამაჯურების ქონის შემთხვევაში. თუმცა, ისინი ამ უფლებით ვერ სარგებლობენ.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები:

- ვინაიდან შედარებით მაღალია წყლის ობიექტებზე სიკვდილიანობა, მნიშვნელოვანია „წყლის მართვის შესახებ“ კანონის და თანმდევნი საკანონმდებლო აქტების მიღება.
- ასევე მნიშვნელოვანია, უწყებათაშორისი კოორდინაცია გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები:

- მნიშვნელოვანია გადაიჭრას სამაჯურების შემოღებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები. კერძოდ, კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღარ არის საკმარისი სამაჯურები, იმისათვის, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებათა აღსრულება.
- მნიშვნელოვანია სექსუალური შევიწროებასთან დაკავშირებით საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება და ძლიერი მესიჯები.

შეზღუდული და განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები

- სამოქმედო გეგმებში უფლებების დაცვის ჩარჩო მაღალ დონეზეა გაწერილი, თუმცადა, მისი შესრულების ეფექტურობა არის ძალიან დაბალი.
- საჭიროა, სამოქმედო გეგმა შშმ პირებზე გაიწეროს კიდევ უფრო დეტალური ოთხ წლიანი გეგმით.
- ასევე მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმის აღსრულებისათვის შეიქმნას იმპლემენტაციის ორგანო, რაც CRPD-ს მოთხოვნაა.

- შშმპ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები მეტად კომპლექსურ მუშაობას მოითხოვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კოორდინაცია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ.
- შშმპ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მომავალი ანგარიში გაეროსთვის 2020 წლის მარტშია წარსადგენი.
- მნიშვნელოვანია, რომ შშმ პირთა უფლებების შესახებ მომზადებული კანონპროექტი, რომელზეც იუსტიციის სამინისტრო მუშაობს, მალე დაინიცირდეს პარლამენტში.
- ისევე როგორც ბავშვთა დღის ცენტრებთან მიმართებაში, ასევე შშმპ პირების მომსახურე დღის ცენტრებიც იხურება არასაკმარისი ფინანსური რესურსის არსებობის გამო. განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო აცხადებს, რომ დღის ცენტრების 100%-იან დაფინანსებას უზრუნველყოფს, რაც აღარ უტოვებს შესაძლებლობას სერვის-პროვაიდერებს მოიძიონ დამატებითი რესურსები დონორებისგან.

შეხვედრაზე დამსწრე ყველა არასამთრობო ორგანიზაცია მზადაა ითანამშრომლოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ზემოთხსენებული გამოწვევების აღმოფხვრისათვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექო ცეციტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
2. არჩილ ჩოფიკაშვილი - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
3. გიორგი თაბაგარი - Tbilisi Pride
4. გიორგი ძნელაძე - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
5. ეკა წერეთელი - WISG
6. თამარ ჭანტურია - SOS ბავშვთა სოფელი
7. მარიკა მხეიძე - გადავარჩინოთ ბავშვები
8. ნათია გამხიტაშვილი - „საფარი“
9. სალომე ჭიჭინაძე - კოალიცია „ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის“
10. სალომე ჯიომილი - World Vision Georgia
11. სოფიო ხუჭუა - სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)
12. ცირა ბარქაია - World Vision Georgia